№ 6—1917
შაბათი 4 თებერ.

მეხუთე წელი გამოცემისა | ფასი 15 კ.

ნიკო გოცირიძე 20 წლ. მოღვაწეობის გამო

შინაარსი

1, მეთაური—სახალხო მუშაკის დღესასწაული 2
2, დამსწრე—„ვისი და რის ბრალია?“ . . „
3, ივ გომართელი—ალ. ჭიჭინაძე . . . 3,
4, ივ. გომართელი—ჩემი მოგონება . . . 4,
5, ჯაბაური—ნ. გოცირიძე 6,
6, ი. დაროშვილი—ნობათი ნ. გოცირიძეს 8
7. კ ძიძაძე—სადა ხარ, სადა? . . . . . „
8, მიხ. ბოჭორიშვილი—ცნების ბრწყალებში
სურათები 5 მოქ. (პირველი მოქმედება) 9,
9, ლ. ძიძიგური—წამების ასული . . . 14,
10, ჰაზირა—შავი ზღვის ნაპირას . . . „
წვრილი ამბები, სურათები, განცხადებანი

ნ. გოცირიძე (სტეპან მაკარიჩის როლში)

თებერვლის 4

სახალხო მუშაკის დღესასწაული

დღეს ქართული სახალხო სცენა ზეიმობს...

ზეიმობს ერთი თავისი ჭეშმარიტი ქურუმის ნიკო გოცირიძის მოღვაწეობას...

იმ ნიკო გოცირიძისა, რომელიც რავდენათაც ნიჭიერი მსახიობია, იმდენად ნამდვილი მოქალაქე, ხალხის გათვითცნობიერების ჭეშმარიტი მუშაკია..

მისთვის არ იყო მამონა, იყო მხოლოდ მელპომენე, რომელსაც უანგაროდ, გულის სიწმინდით ემსახურებოდა...

და დღესაც ემსახურება!

სახალხო სცენამ დიდი ამაგი დასდო ჩვენის ერის გათვითცნობიერებას და მომავალში კიდევ უფრო მეტს შესძღვნის მას. ამ სცენის მუშაკნი, უმეტესად, სრულიად უფასოდ მსახურობენ წმინდა ტაძრის სამსხვერპლოსთან და ნეტარება მას— ვინც ხალხის მადლობას დაიმსახურებს!—

ეს შესძლო ნიკო გოცირიძემ.

მრავალ მწუხარე, აღმაშფოთებელ და მოუსვენარ წელთა შროშის სანაცვლოდ დღეს ხალხი ხელერთპირად შესძახებს ნაამაგდარ სახალხო მუშაკს „გმადლობთ ჩვენო ნიკოო!“

და ეს იქნება უდიდესი ჯილდო!

იმედია, პროვინციაც გამოეხმაურება ნიკოს იუბილეს.

ვინატროთ, რომ ასეთი უანგარო და ნიჭიერი მუშაკნი მრავლად გამოსჩენოდეს ჩვენს სახალხო სცენას!

ჩვენ-კი ჩვენს ნიკოს ვუსურვებთ დღეგრძელობას სახალხო თეატრის საკეთილდღეოდ.

„ვისი და რის ბრალია?“

„თეატრი და ცხორვ.“-ის ნომერში მეთაურმა ასეთი საკითხი წამოაყენა: „ვისი და რის ბრალია“ და მეეხო ჩვენი თეატრის გაჭირვებულ მდგომარეობას. ბ. „ყოფილმა“ № 2-ში მას ვითომ პასუხი გასცა.

ეხლა მეც მინდა ასეთივე კითხვა დავსვა:

1—ვისი და რის ბრალია, ანუ რა მიზეზია, რომ ბ. გ. გვაზავამ გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადა?

2—ვისი ან რის ბრალია, ანუ რა მიზეზია, რომ ნ. ქართველიშვილი საზოგადო კრებამ ერთხმად აირჩია გამგეობის წევრად; მან მოითხოვა ფარული კენჭის ყრა (და სრულიად სამართლიანად) და ფარული კენჭის ყრით-კი მხოლოდ 3 თუ 4 ხმით გავიდა??

განა ეგ ჩვენი საზოგადოებრივობის გაკოტრების მაჩვენებელი არ არის?

ადამიანისათვის ცხადათ ვერ გაგვიბედნია ვერ გაგვიცხადებია მისთვის მისდამი ჩვენი ანტიპატია; ღიათ ერთხმად ვირჩევთ წევრად და ფარულად-კი ყუთში შავ-კენჭს ვაძლევთ.

თუ წევრობაზე თანხმობა განაცხადეს და ყუთიც დაიდგეს, სჩანს მუშაობის სურვილი ჰქონდათ ორივეს!

გამგეობის პირველ კრებაზედვე-კი ორთავენი უარს აცხადებენ!.

რა მიზეზია?

განა აქ ცუდი სუნი არა სცემს?

იქნება ბ. გვაზავამ და ნ. ქართველიშვილმა შინაური მდგომარეობა წამოაყენონ უარის მიზეზად? მეტისმეტი გულუბრყვილობა იქნება ამის დაჯერება!

არა! აქ სულ სხვა მიზეზებია! სხვაგან არის დამარხული ძაღლის თავი.

ისეთი მცოდნე, უანგარო მუშაკი, საქმის მოყვარული და განათლებული მოღვაწე, როგორც ბ. ნ. ქართველიშვილია, რად უნდა ჩავაყენოთ ისეთი პირობაში, რომ წევრობაზე უარი ვთქმევინოთ?

ჯერ ვირჩევთ—მერე ვაშავებთ!!

რას ნიშნავს ესა?

შეიძლება ეს ჩემი კითხვა ბევრმა სისულელედ ჩამითვალოს, მაგრამ მე ვსთხოვ ყველას, ვისაც ქართული თეატრის ბედიღბალი აინტერესებს, ღრმად ჩაუკრდეს ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს!.. ერთხელ და სამუდამო დარწმუნდეს, რომ დრამ. საზოგადოებაში „не все обстоитъ благополучно“ რომ აქ უფრო პირადი თავმოყვარეობით ხელძღვანელობენ, ვიდრე საზოგადო საქმისადმი ინტერესებით!

დამსწრე.



ალექსი ჭიჭინაძე (1851—1917

ალექსი ჭიჭინაძე

საყვარელი მასწავლებელი — ეს ორი სიტყვა, რომლითაც შეიძლება ალექსი ჭიჭინაძის დახასიათება. ის საყვარელი იყო თავის მოწაფეთათვის, ყველას გულში სიყვარული შეჰქონდა, ყველა უყვარდა და ამ თვისების წყალობით იყო მარტო იშვიათი ადამიანი კი არა, იშვიათი მასწავლებელი.

რა არის საჭირო მასწავლებელისათვის?

უპირველესად მას უნდა უყვარდეს ის საქმე, რომელსაც ემსახურება.

მას უნდა უყვარდეს მოსწავლე, რომლის აღზრდა-განვითარება მისთვის მიუნდვიათ.

თვითონ უნდა იყოს სპეტაკი ადამიანი, რომ თვის პირადი მეობით მოქმედებდეს მოსწავლეზ

ყველა ეს თვისება ერთ ადამიანში თავმოყრილი, მეტათ იშვიათია და მიტომ არი მასწავლებელთა შორის ძალიან ცოტა ჭეშმარიტი მასწავლებელი.

ყველა ეს თვისება სრულად ახლდა ალექსის.

თვისი საქმე მას ახალგაზრდულის გატაცებით უყვარდა და, როგორც სამაგალითო დარაჯი, სადარაჯოზე მოკვდა.

ყოველისფერს ივიწყებდა, ყოველისფერს მსხვერპლათ სწირავდა საყვარელ საქმესა, დასვენება რა იყო, მოსვენება—მან არ იცოდა. ის იყო ანთებული კელაპტარი, რომელიც იწოდა თვისი დიდი საქმის სამსხვერპლოზე, იწოდა და მხოლოდ საქმეზე ჰფიქრობდა, სანამ სრულებით არ დაიწვა

მასწავლებლის მოვალეობა მეტად მძიმეა; ის პირნათლათ ზიდავდა ამ ტვირთს; ის იქანცებოდა, მაგრამ ის არავის არ შესჩიოდა, რადგანაც დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს და ალექსი იყო მსხვერპლი, რომელიც საქვეყნო საერო საქმეს ეწირებოდა.

რომ მკითხოთ, რა უფრო უყვარდა ალექსის—საკუთარი ოჯახი, თუ სასწავლებელი, პასუხისათვის ბევრი ფიქრი არ დამჭირდება:

— რასაკვირველია, სასწავლებელი.

სასწავლებელი ალექსისათვის ყოველისფერი იყო.

ალექსიც მთელ თავის არსებას, თავის ძალღონეს, თავის ენერგიას, თავის დროს თავის, სულსა და გულს სასწავლებელს ანდომებდა.

ოჯახში როცა იყო, მაშინაც სასწავლებელზე ჰფიქრობდა, სასწავლებლისათვის ზრუნავდა. სასწავლებელი ალექსისათვის წმინდა ტაძარი იყო, სადაც მისი სული სრულ კმაყოფილებას ჰპოებდა.

ვინ უფრო უყვარდა ალექსს—მოსწავლე თუ საკუთარი შვილები?

რასაკვირველია მოსწავლე.

საკუთარ შვილებს ხშირათ მისი ხილვა ენატრებოდათ, ის-კი მთელ თავის დროს სასწავლებელს სწირავდა. მოსწავლენი მისთვის სულიერი შვილები იყვენ და ის-კი სულიერი მამა, რომელთათვის ზრუნვა-პატრონობაში საკუთარ შვილებს ივიწყებდა.

მასწავლებელთა დიდი უმრავლესობისათვის მოსწავლე არის მხოლოდ მოსწავლე—მეტი არაფერი.

ალექსისათვის-კი მოსწავლე იყო ნორჩი ადამიანი, რომლის სულს შესწავლა გამოცნობა-უნდოდა და გულს-კი ლმობიერათ, სიყვარულით მოპყრობა.

ალექსი ყოველ მოსწავლეში ეძებდა იმის თავისებურ თვისებებს, იკვლევდა იმის სუსტ, კარგ და ავ მხარეებს და ამის შემდეგ ზრდიდა და ავითარებდა მას.

მოსწავლის შესწავლა, იმის სულში ჩახედვა, გულში ჩაწდომა, მისი დამორჩილება სიყვარულის შემწეობით—აი ალექსი ჭიჭინაძე.

ის იყო იშვიათი ფსიხოლოგი მოსწავლის ბუნებისა, ის შედიოდა მოსწავლის ყოველგვარ მდგომარეობაში, იმის ყოველ დღიურ ცხოვრებაში და მუდამ იყო არა სასტიკი მტუქსველი, არამედ მშვიდი, წყნარი დამრიგებელი, რომლის ყოველ სიტყვაში მამობრივი სიყვარული და მზრუნველობა იხატებოდა.

დიახ, ალექსი იყო ფიცხი, ხშირად სასტიკიც მათთან, ვინც იმის სულიერ შვილებს ისე არ უვლიდა, როგორც მასა სწამდა, ვინც სასწავლებელს მასავით წმინდა ადგილათ არა სთვლიდა. ის ყველასაგან ითხოვდა სიყვარულს, მსხვერპლს თვისი საყვარელი საქმის ასაყვავებლათ, თვისი საყვარელი მოწაფების საკეთილდღეოთ და როდესაც ამ სიყვარულს, ამ მსხვერპლს ვერა ჰხედავდა, ის მაშინ გულ მაგარი და მტკიცე იყო,

სხვისი აღმრზდელი—თვითონ უნდა იყოს ზრდილი.

ასეთი იყო ალექსი—მშვიდი, წყნარი, ლმობიერი, თავდაჭერილი, უბოროტო, გულკეთილი, ყოვლად პატიოსანი.

აღელვება ბაფიცხება, მოთმინებიდან გამოსვლა მან მხოლოთ იშვიათათ იცოდა და ისიც მაშინ, როდესაც იმის საყვარელ საქმეს, იმის წმინდათა წმინდას უკადრისად, შეუფერებლად და გულგრილად ეპყრობოდნენ.

სხვისი მასწავლებელი თვითონ უნდა იყო ნასწავლი.

ასეთი იყო ალექსი, რომელიც უკანასკნელ წუთამდე თვითგანვითარებისათვის ზრუნავდა და მეცნიერებას თვალყურს ადევნებდა.

ჭეშმარიტი მამულისშვილი, რომელსაც მშობელი ერი უყვარდა და მისი მომავალი სწამდა,—აი ალექსი, პატიოსანი, შეუპოვარი მოქალაქე, რომელსაც გათვალისწინებული აქვს თვისი მოქალაქობრივი უფლებანი და მოვალეობა—აი ალექსი.

ცხრაას ხუთში მოძრაობის დროს მე თვითონ მინახავს, თუ როგორი კრებები იმართებოდა და რა ხდებოდა ალექსის ბინაზე ხონში.

იშვიათი პედაგოგი, იშვიათი ადამიანი, იშვიათი მამულიშვილი იშვიათი მოქალაქე—აი ალექსი ჭიჭინაძე.

ივ. გომართელი

ჩემი მოგონება

როდესაც სათავად-აზნაურო სასწავლებელში მიმაბარეს, ობლობის მთელი საშინელება მაშინ განვიცადე. მარტოობა მაშინ ვიგრძნე. დედა შორს იყო, შორს; მისი ალერსი მისი ხილვა, მისი ხმის გაგონება, მის კალთაში თავის ჩადება, მის უბეში ხელის შეყოფა მენატრებოდა, მწყუროდა.

ამხანაგებმა ეს სევდა ვერ შემიმსუბუქეს, რადგანაც თავიდანვე ბავშვურის, გულუბრყვილო, უბოროტო დაცინვით შემხვდენ: ღვიტიკელა, ხოხონიკაო. მგონია მე მაშინ პირველი იმერელი ვიყავი სასწავლებელში.

როდესაც გავიგე, რომ სასწავლებელის მსახური ივანე რაჭველი იყო, თუნდა ბიძა ჩემი დამენახოს. ვიცოდი, რომ რაჭა ჩვენი სოფლიდან ახლოს იყო და ივანეს მივეკედლე. შეეყვარდა. იმასაც შეუყვარდი.

—როდესაც ქალაქში მოვდივარ, თქვენ სოფელზე ამოვივლი ხოლმეო, მითხრა ივანემ ერთხელ.

ამ ამბავმა ხომ სიხარულით აღავსო ჩემი გული. მაშ ივანე ჩვენ სოფელში ყოფილა, ჩვენი სოფელიც დაუნახავს.

სიყვარულმა გამათამამა. ობლობის და მარტოობის ტვირთი შემიმსუბუქდა. თავისუფალ დროს ივანეს ხან ზურგზე მოვახტებოდი, ხან კისერზე ჩამოვეკიდებოდი.

— აგერ მოვა ახალი ისპეხტორი და გაყურებიებს სეირს! გამომიცხადა ერთხელ ივანემ.

ამ სიტყვებმა ჩამაფიქრა, დამაღონა.

მე რომ სწავლა დავიწყე, პედაგოგიაში სიყვარულსა და პატივის ცემას შიში სჭარბობდა. მასწავლებელთა უმრავლესობა უფრო შიშით მოქმედებდა ჩვენზე ვიდრე სიყვარულით,

ამის გამო სილა ყბაში დიდათ იყო მიღებული, წკიპურტები და ყურების აწევა ხომ ლაღობდენ და ხარობდენ.

რა გასაკვირალია, თუ ჩემს თვალში მასწავლებელი უფრო საშიში ადამიანი იყო, ვიდრე საყვარელი.

ინსპექტორი მე არ მენახა. იმ ხანებში, როდესაც მე სასწავლებელში მიმაბარეს, სასწავლებელი უინსპექტოროდ იყო დარჩენილი

მაგრამ ინსპექტორი მე უფრო საშინელ. ადამიანათ მყავდა წარმოდგენილი, ვიდრე მასწავლებელი.

როდესაც ივანემ გამომიცხადა, ახალი ინსპექტორი მოვაო, არა თუ დავღონდი, შიშმა ამიტანა...

სასწავლებლის კარიდორში ბავშვების ჟრიამულისა გამო ერთი ალიაქოთი იყო.

— ახალი ინსპექტორი.

გაისმა ხმა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს მიწა უხმოთ გაიპო და ყველა ერთბაშათ გადაყლაპაო.

მალე გაიარა ახალმა ინსპექტორმა და სუყველას თავი დაგვიკრა.

ეს ახალი ინსპექტორი იყო ალექსი ჭიჭინაძე.

ჩემი მოლოდინი და შიში არ გამართლდა. პირველი შთაბეჭდილების მიხედვით ახალი ინსპექტორი საშიში ადამიანი არ უნდა ჰყოფილიყო.

როგორც მოგახსენეთ, სასწვლებელში ცემა-ტყეპა გამეფებული იყო. მართალია, სილას ყველა არ მიმართავდა ხოლმე, იყვნენ ისეთი მასწავლებელნი, რომელთა განაცჩემ დროს ერთი წკიპურტიც არავის მოხვედრია, მაგრამ იყვენ ისეთებიც, რომლებიც სილას ერთობ ხშირათ ხმარობდენ და მეტათ დახელოვნებულიც იყვნენ. მათი ხელის მოქნევა სისწრაფით სწორედ ელვა, იყო რომლის ტაკანსაც მეორე ოთახში გაიგონებდით.

შემოდგა თუ არა ალექსიმ სასწავლებელში ფეხი, სილა, წკიპურტები, ყურების აწევა სადღაც გაიპარენ.

ამ მოულოდნელმა ცვლილებამ სასწავლებლის ცხოვრებაში ჩვენ იმდენათ გაგვაოცა, რომ ვეღარიო ვერ აგვეხსნა, მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რომ ეს ალექსის ბრალი იყო. რუსულ ენის მასწავლებლათ ახალი ინსპექტორი გეყოლებათო, გამოგვიცხადეს.

მე მოუთმენელათ ველოდი იმ დღეს, რომ დესაც ახალი ინსპექტორი ჩვენთან შემოვიდოდა.

ცოტაოდენ შიშს, რაღაც არა-სასიმოვნო, შემაწუხებელ გრძნობას განვიცდიდი მაინც ამ მოლოდინში, მაგრამ ეს არ იყო ძლიერი შიში.

პირველი გაკვეთილის შემდეგ კი შიშის ნატამალიც გაიფანტა.

ჩვენს წინაშე იდგა ახალგაზრდა ადამიანი, წყნარი, მშვიდი, უბოროტო სახისა. მისი ტკბილი, საამური ხმა სრულებით შეეფერებოდა მის სახეს.

სწორეთ ხუთი წელიწადი იყო ალექსი ჩემ მასწავლებლათ და ამ ხნის განმავლობაში მე არ მახსოვს, რომ ერთხელ ხმა მაღალი სიტყვა ეთქვას კლასში ერთხელ გაგვწყრომოდეს, ერთხელ აღელვებულიყოს, აჩქარებულიყოს გაკვეთილების დროს.

მხოლოდ დარიგება იცოდა, დარიგება და კიდევ დარიგება. როცა ამგვარი ზომა სრულებით არა სჭრიდა, ის მიმართავდა ხოლმე საყვედურს და იმის საყვედურში უზომო სიყვარული იყო გახვეული. ალექსიმ პირველი გაკვეთილიდანვე მოგვხიბლა ამ სიყვარულით და ამის შემდეგ ჩვენც უსაზღვროთ შეგვიყვარდა ის. ხშირათ მთელი კლასი ცდილობს, პირობას ჰკრავს რომ მასწავლებელი გააჯავროს, მოთმინებიდან გამოიყვანოს.

ამ გვარია ფსიხოლოგია მოსწავლესი, რომელსაც სხვა საშუალება არ გააჩნია, სამაგიერო რითიმე გადაუხადოს მაბეზარ, უსიყვარულო მასწავლებელს.

ჩვენთან ალექსის არც ერთი ამის მზგავსი შემთხვევა არა ჰქონია.

ყოველ ღონეს ვხმარობდით, რომ ჩვენს საყვარელ მასწავლებელს ჩვენგან არაფერი სწყენოდა და მისი გაკვეთილების დროს სრული სიჩუმე და მყუდროება სუფევდა.

საზოგადოთ გაკვეთილების დროს საათი მეტათ გრძელდება და როდესაც ზარის ხმას გაიგონებ, გულზე მოგეფინება, მოგეშვება.

ალექსის გაკვეთილებზე დრო შეუმჩნევლათ გადიოდა, რადგანაც ის მუდამ ლმობიერი, მუდამ მოსიყვარულე იყო და ჩვენ

ვგრძნობდით ამ სიყვარულს.

რუსულს ალექსი გვასწავლიდა ქართული ენის შემწეობით, უმეტეს დროს გაკვეთილის ახსნა-განმარტებას ანდომებდა და, სახლში როდესაც ვბრუნდებოდით, გაკვეთილი თითქმის მზათა გვქონდა.

ალექსი მარტო მასწავლებელი არა ყოფილა: ის იყო მზრუნველი მამა, რომელიც საკუთარ შვილებზე, შესაძლებელია, იმდენს არა ფიქრობდა, რამდენსაც ჩვენზე.

სათავად-აზნაურო სასწავლებელში ჩემ დროს ოთხი კლასი იყო და მესამეში რომ გადავედი, მეოთხე დახურეს უსაღსრობისა გამო.

სასწავლებლის გათავების შემდეგ მოსწავლენი გზა-კვალ დაბნეული რჩებოდენ; გიმნაზიაში შესვლა მაშინ იშვიათს თუ ეღირსებოდა, დანარჩენები ან ბატარა მოხელეებათ შევიდოდენ სადმე ან მუქთაყლაპიათა და გამოუსადეგარ ადამიანთა რიცხვს ემატებოდენ.

მიუხედავათ იმისა, რომ მეოთხე კლასი ჩვენი ცხვირის წინ მოსპეს უსაღსრობ სა გამო, ალექსიმ იმდენი იმეცადინა, რომ ბანკის ხარჯით მესამე კლასის გათავების შემდეგ სულყველა სურამში წაგვიყვანა გიმნაზიისათვის მოსამზადებლად.

იქ ჩვენა გქონდა საკუთარი სადგომი და გვყავდა საკუთარი მზარეული.

ჩვენი მასწავლებლები იყვნენ ალექსი, ექვთიმე თაყაიშვილი და განსვენებული გრ გძელიშვილი.

სასწავლებლის ეზოში მდინარე ჩამოდიოდა. ალექსიმ გაგვაკეთებინა საბანაო და ყოველ დღე თვითონ მივყავდით საბანაოთ. გაკვეთილების შემდეგ ხშირათ წაგვიყვანდა მინდვრათ და ტყეში სასეირნოთ და გვესაუბრებოდა ხოლმე ხან ჰიგენის, ხან ბოტანიკის შესახებ, ხან ისტორიიდან და სხვა და სხვ.

მიუხედავათ ამისა, რომ ცოლშვილი ალექსის სურამში ჰყავდა, უმეტეს დროს ჩვენთან ატარებდა და მასთან ყოფნა, მისი ხილვა.

მისი მუსაიფი ჩვენს მოთხოვნილებათ გადაიქცა,

აგვისტოში, როდესაც ეგზამენების დრო დადგა, ალექსიმ თვითონ წამოგვიყვანა თბილისს და დაგვაბინავა სასწავლებელში, რომ ეგზამენების დროს, უფრო ეგდო ჩვენთვის ყური.

ეგზამენების ჩვენ ყველას ძალიან გვეშინოდა და განსაკუთრებით-კი რუსულისა, რადგანაც გიმნაზიებში ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენზე იქაურ მასწავლებლებს, თითქოს ჩვენ ტყიდან გამოვარდნილი ვიყავით და რუსულისა ინჩი არა გვესმოდარა.

ალექსი ყოველთვის გვამხნევებდა, თვითონ მიგვყვებოდა ეგზამენებზე.

იქ გვიცდიდა და გამოვიდოდით თუ არა გამოსაცდელი ოთახიდან, მოუთმენელათ გვეცემოდა:

— აბა რა ჰქენით, ხომ არ შემარცხვინეთ? და როდესაც დამშვიდებულ პასუხს მიიღებდა, მისი სახე გაბრწყინდებოდა ხოლმე.

იშვიათი მამა დასდებს იმდენს ამაგს, რამდენიც ალექსიმ დაგვდო და ის მით დაკმაყოფილდა, რომ თვალსაჩინოთ გაიმარჯვა:

რვა კაცს გვამზადებდა და ერთის გარდა სულყველამ ჩინებულათ ჩავატარეთ გამოცდა, ყველა მიგვიღეს გიმნაზიაში.

სიყვარულის ის ლამპარი, რომელიც ალექსიმ დაანთო თავის მოწაფეთა გულში, აღარ ჩამქრალა და არც ჩაქრება სანამ მისი მოწაფენი საფლავში არ ჩავლენ.

არა, მაშინაც აღარ ჩაქრება,—შვილებს გადასცემენ, რომ მათაც იცოდენ როგორი ადამიანი იყო ალექსი ჭიჭინაძე.

მე კი, ჩემო საყვარელო, ჩემო ტკბილო მასწავლებელო, გეფიცები, ვსტირი, როცა ამასა ვსწერ შენს შესახებ.

დაიღუპოს ადამიანის გაჩენა, თორემ რატომ არ უნდა ეძგერა შენს პატიოსანს, სიკეთით აღსავსე გულს კიდევ დიდხანს, დიდხანს.

როდესაც შენ შემოგხედავდი, მომაგონდებოდა შენთან, შენს კალთაში გატარებული ტკბილი სიყვარულით გამთბარი დრო და გული სიამით მკვსებოდა. შენთან ერთათ ეს სიხარულიც გაჰქრა.

სხვა ალექსი მე აღარ დამრჩენია.

ნიკო გოცირიძე

და მისი მოღვაწეობა სახალხო თეატრის სცენაზე

20 წლის სახალხო მოდგაწეობის ადსანიშნავად დღეს, შაბათს, თებერვლის 4 სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა სადღესასწაულო წარმოდგენას უმართავს თავის ერთგულს და ხალხის საყვარელს სცენის მოყვარე ნიკო გოცირიძეს

1896 წელს, როდესაც ჩვენმა ინტელიგენციამ ნელ-ნელა ფეხი შესდგა სახალხო თეატრის სცენაზე, დაეპატრონა მუშებისგან შექმნილს სახალხო სცენას, რომელიც ხელოსანთა ამხანაგობის სახელით 1893 წლიდან უკვე გრძნობდა ამ „ხელოსანთა ამხანაგობას“, ინტელიგენტთა შესვლის შემდეგ დაერქვა თეატრალური სექციის“ ამ სექციამ უკვე არსებულ სცენის მოყვარეთა გარდა მოიწვია სხვა სცენის მოყვარენიც და სწორეთ ამათ რიცხვში ერია ნიკო გოცირიძეც, რომელიც იმ დღიდან მოკიდებული დღევანდლამდე შეიქნა მისი ერთგული მუშაკი და სახალხო თეატრის ნამდვილი ბურჯი. ნიკო გოცირიძის მოხდენილის და დაკვირვებული თამაშით სახალხო თეატრში ბევრად გასდგა ნაბიჯი წინად თუ ქართულს სცენას ვსო აბაშიწე ამშვენებდა, სახალხო თეატრს ნიკო გოცირიძე მოეფინა დასამშვენებლად.

ამ სნის განმავლობაში თვალი რომ გადავავლოთ წარმოდგენების მსვლელობას, თუ რომელ სეზონში რამდენი ხიესა დადგმულა, იშვიათად შეგვხვდება ისეთი პროგრამა, რომელშიც ნიკოს არ მიეღოს მონაწილეობა. ნიკო გოცირიძეს, სცენაზე მონაწილეობის გარდა, უფრო მძიმე მოვალეობა აწვა, ეს იყო რეჟისორობა ავჭალის აუდიტორიაში, რომლის პატარა და ვიწრო სცენას ბევრი ჩვენი ინტელიგენტი გაურბოდა ან და თუ დასთანხმდებოდა—ისიც ცოტას სნით, ხან სულ აღარაგინ მოგვეკარებოდა და აი ნიკო გოცირიძე მზათ იყო ეკისრა ეს მოვალეობა სხვის მაგივრად. შემდეგ გაჩნდებოდა მორიგეობა სცენის მოყვარეთა შორის და ეველაზედ უფრო მეტი შრომა და ხნობით რეჟისორობა ნიკოს შეხვდებოდა. მისმა ნიჭმა და სასცენო უნარმა მალე ეურადღება მიიქცია; ეს იყო მიზეზი რომ თბილ. ქართ. დრამატ. სეზ. ამ თავის დასში მიიწვია, აგრეთვე მიიწვია ქუთაისის დრამტ. სეზ-ბამ მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იქ სასუიდელი მოეფოდა, ნიკო გოცირიძემ მაინც სახალხო თეატრში უფასოდ ირჩია და დარჩა არა მსახიობად დიდი თეატრისა არამედ ისევე სცენის მოყვარედ სახალხო თეატრისა. და. აი, ეს არის რომ უფრო ამაღლებს მის დირსებასა და სახელს

სახალხო სცენა და ნიკო გოცირიძე—აი, ერთი მთელი, რომელიც, სდარაჯობს, რომ ქვეშამა და ლამმა არ ამოაგსოს ის მიდი, საიდანაც იმედის წყარო გადმოხსრიალდებს.

ნიკო გოცირიძის მოღვაწეობა მარტო თბილისის სახალხო თეატრის სცენით არ განისაზღვრება: მას კარგად იცნობენ ჩვენი დაბა-სოფლების მცხოვრებნიც, რომლის პატარა და ვიწრო სცენა ნიკოს ბევრჯერ დაუმშვენია თავის მოხდენილის თამაშით. ვუსურვებ მეტ მხნეობას, რომ სახალხო თეატრის მსმენელი კიდევ ბევრჯერ დამტკბარიყოს მისის თამაშით, ვისურვებ რომსასალხო თეატრს არ მოაკლდეს იმისთანა ბურჯი, როგორიც არის ნიკო გოცირიძე.

გიორგი ჯაბაური



ნიკო გოცირიძე, რომლის სასცენო მოღვაწეობის 20 წ. შესრულებას სახ. წარმ. მმართველი წრე შაბათს თებრ. 4 დღესასწაულობს, დაიბ. 1873 წ. მარიამობისთვის 6. სწავლობდა სახელოსნო სასწავლებელში, მაგრამ აქ კურსი არ დაუმთავრებია, პატარა როლების შესრულება დაიწყო 1890 წ. 1896 წ. სახალხო თეატრის (ავჭალის) აუდიტორიაში მიიწვიეს. 1897 წ სახალხო სახლში და მას შემდეგ დაუღალავად მოღვაწეობს აქ სრულიად უსასყიდლოდ. მისი როლებია აკოფა, საქო, მაზუთიანი, აკიმ , კობუს, შმაგა და სხ.

ნიკო გოცირიძე სხვა და სხვა როლში 20 წ. მოღვაწეობის გამო

მცირე ნობათი

ნ. გოცირიძეს

შევალ ბაღში, ჩემ ლურჯ ბაღში,
ყვავილს დავკრებ ათასნაირს;
მზის სხივებით შევკრავ გვირგვინს,
შიგ ჩავაწნავ უკვდავ შაირს...
დავიბარებ ტყის ფერიებს,
ავამღერებ ვარდის დილით,
და გალობით შავ ღედოფალს
ტახტზე დავსვამ თეთრ მანდილით...
ვარდ-ზამბახებს ავაყვავებ,
სურნელს მოვთხოვ ყვავალთ წყებას;
სიმწუხარეს უკუ ვაგდებ,
მივცემ მუდმივ დავიწყებას...
და ოცნებით წამოვიღებ
მზის ქვეყნიდან თეთრ სამკაულს;
ამით მინდა შევხვდე ღიმით
საზეიმო დღესასწაულს!..

ი. დაროშვილი

სადა ხარ, სადა?!

სევდა-კაეშანს მოუცავს არე,
ღამეა ბნელი, ღამე უმთვარო...
ძილს მისცემია კაცთა სავანე,
ძილს მისცემია მთელი სამყარო...
მე კი არ მძინავს... ვზივარ სარკმელთან...
სულსა მიხუთავს ფიქრები ბნელი...
არსაით მესმის ხმა სანუგეშო,
და ჩემს თვალებში ცრემლი კრთის მწველი.
სადა ხარ, სადა, ჩემო საუნჯევ?
მო, დამანახვე სახე მზიური,
და ცხოვრებისგან განაწვალებსა
მასმინე ჰანგი ზექვეყნიური...
ბროლის თითები ჩამოჰკარ სიმებს,
ბროლის თითებით ჩანგი ამიწყე...
ერთს წუთით მაინც მაშორე სევდა,
ერთს წუთით მაინც გადამავიწყე...
გიხმობ... გიყივი... მაგრამ ამაოდ...
ჩემი ძახილი შენ ვერა გწვდება..
ნუ თუ ბედკრული ისე მოვკვდები,
რომ ერთხელ მაინც ვერ ვიგრძნო შვება?!

კ. ძიძაძე.

ვნების ბრჭყალებში

სურათები ხუთ მოქმედებად **მიხ. ბოჭორიშვილისა**

ავტორი პიესისა მიხ. ბოჭორიშვილი.

მომქმედნი პირნი:

1) **დიო, იგივე დიოგენი**. ყმაწვილი. მისი სახე უსაზღვრო მწუხარების გამომხატველია. არასოდეს არ აკმაყოფილებს.

2) **ლიზა**, დიოგენის და, 17-18 წლის კეკლუცი და მხიარული ქალია.

3) **თებროლე**, დიოგენის დედა, ღრმად მოხუცებული.

4) **გიორგი**, 45-50 წლის. მემამულე მოინტელიგენტო, ქეიფის მოყვარული.

5) **ალოლ**, გიორგის ძმისწული, ახალგაზრდა ფერმკრთალი ქალი.

6) **შამშე**, სტუდენტი.) სოფლად სააგარაკოდ
7) **სუსანა**, მოსწავლე) არიან მოსული

8) **მონაზონი**, ქალი.

9) **პლატონ**, ახალგაზრდა გლეხი

10) **ხიბა**, ხანში შესული გლეხი.

11 **სოლომე**, მოხუცი გლეხი.

ახალგაზრდა გლეხები და ქალები.

მოქმედება სწარმოებს სოფლად, რომლისთვისაც ჯერ კიდევ უცხოა ქალაქი ზნე ჩვეულებანი.

მოქმედება პირველი

კვარცხლბეკი მდინარის პირად. საღამოა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ხეების მწვერვალებიდან მთვარის სხივი გადმოანათებს და ტოტების ჩრდილი მიწაზე დაეშვება. განმარტოებით ზის ალოლი და მდინარის სიღრმე გადასცქერის, სხვანი მწვანეე მდოლზე სხედან და ხილსა და ღვინოს შეექცევიან.

I

ალოლ, სუსანა, ლიზა, შამშე და გიორგი

შამშე. რა საუცხოვო საღამოა! სადღაც შორს გრძნობით სტვენს იადონი. მდინარის შეხეთქება ნაპირის კალთებზე ისე გაისმის, ვით იდუმალი შრიალი ნიავით შეთრთოლებულ ფოთლებისა. ჰაერი თივბრუ დამხვევ სურნელებით არის გაჟღენთილი. კურთხეულ იყოს გაზაფხული.

სუსანა. წარმოიდგინეთ ეხლა, ამ წუთს ქალაქი, ეტლების ხრიალი, მტვრიანი ქუჩები და უთავბოლოდ მოფუსფუსე ხალხი. არა ბატონებო, დიოგენმა დროზე შეიგნო ბუნების მშვენიერება, რომ სამუდამოდ დასტოვა ქალაქი და აქ მოაშურა ბუნების წიაღს.

ლიზა. ოთახს რომ არა სცილდება? იგი აქაც მოწყვეტილია ბუნებას.

გიორგი. გიკვირთ განა? ბრძენ დიოგენს ბოჭკაში ჰქონდა ბინა.

სუს. განა შეიძლება გამოურკვეველი ფიქრები ქენჯნიდეს სულს ამ მშვენიერ საღამოს? ალოლ! რად ზიხარ განმარტოებით?

ალოლ. (კენჭებს ისვრის მდინარეში). შეკითხვაზე მკრთალი ღიმილით იძლევა პასუხს) მე მიყვარს მარტოობა.

გიორ. ყმაწვილებო! ვადღეგრძელოთ ალოლი და მისი მარტოობა.

ლიზა. ალოლ! იყავ ბედნიერ.

შამ.)
სუს.) სცოცხლობდე ალოლ!

გიორ. ალოლ! გისურვებდი, რომ ყმაწვილური სიშმაგე შემოჭრილიყოს შენს მარტოობაში და გულის სიღრმეში უსაზღვრო მხიარულების კოცონი აღენთოს.

შამ. (ღვინით სავსე ჭიქას მიუტანს ალოლს) შეახეთ თქვენი ნაზი ბაგე! გამხიარულდით, ბუნებას არ უყვარს მწუხარება.

ალოლ (ღვინოს მოსვამს) მრავალ ჟამიერ თქვენი სიცოცხლე მეგობრებო! გამოგიცდიათ თუ არა თქვენ, რომ ხანდახან ნათელი ღამე სულის სიღრმეში მწუხარების სხივებს შეაპარებს?

სუს. ვიმღეროთ რამე.

ლიზა. (დაიწყებს) Душа моя мрачнаа ..

გიორ. ქართულად! ქართულად! არა ბატონებო! რად გსურთ მიდამოს ნაღველი მოჰფინოთ უცხო სიმღერით? ამ არე-მიდამოსათვის უცხოა ასეთი სიმღერები. იგი შეჩვეულია მკვნესარე „ურმულს“ და „ოროველას“ უთუოდ ქართულად უნდა ვიმღეროთ, ქარ-

თულად უნდა ვიმღეროთ, ქართულად.

შამ (ალოლს) გვიმღერე რაიმ. შენი ნარნარი ხმა აგვიშალოს გრძნობებს და შესაძლოა მიწის წიაღზე ცრემლებიც დაგვაფრქვევინოს, მაგრამ რომ იცოდეთ რა ნეტარებაა, როდესაც მუსიკის ხმებზე ცრემლებათ იფრქვევა სულის სიღრმიდან სევდა-ნაღველი!

ალოლ. ჩემი ბაგენი უტყვია ამ ჟამად, ვით მდინარის სიღრმეში მონავარდე ორაგული.

გიორ. სიმღერისთვისაც ხვეწნა-მუდარა გჭირდებათ რაღა? აბა მიყურეთ? (დაიწყებს) „ყოველ სნეულებაზე სიყვარული ძნელია...“

ყველანი. (იცინიან) ხა! ხა! ხა!

ლიზა. ჩვენ გვიშლის, დანჟღრეული ხმით არე-მიდამოს ნუ ნუ შეურაცყოფთო და თვითონ-კი...

ალოლ. ნუ დასცინი ძიას.

გიორ. (მიდის ალოლთან) რას დაღვრემილხარ! წადი, იმხიარულე. მე უნდა ვსტიროდე ჩემს დაკარგულ სიყმაწვილეს, თორემ შენ რა?

ლიზა. (დაიწყებს და სხვებიც აყვებიან)
„შეგიშრობ ცრემლთა ჭორთ მანელებულს
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს
და იმის ფერფლსა, ვით საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს ჩემსა სამლოცველს“.

ალოლ. (მოშორდება მდინარის პირს და ვედზე შემოეხვევა ლიზას) ნუ! ნუ! ჩემო კარგო! რაღაც მიწყლულებს გულს! (ქვითინით) რა ვქნა მითხარით. ოჰ, რა მძიმე ლოდივით მაწევს სევდა გულს ოხ, ღმერთო! ღმერთო!

გიორ. რა გემართებათ? რამ წაგართო სულის სიმშვიდე!

ალოლ. სული ვილალებს! მეგობრებო! მაპატიეთ, რომ თქვენს სიამოვნებაში მწუხარება შემომაქვს. რაღაც გამოუთქმელი სევდა სერავს გულის სიღრმეს

სუს. (ლიზას ხმა დაბლა) დიოგენის მოლოდინში სანთელივით დნება მისი სული

შამ. ის კი არ მოდის?

ლიზა. ვინ?

შამ. ვისი დანახვაც გაფანტავს ალოლის სევდას.

II

იგივენი და **საბა**

გიორ. მოუხვიე საბა! ველარ დაიმალები.

ლიზა. საბას გაუმარჯოს, საბას!

შამ. ვინ არის.

საბა. (წელში ნაჯახით. მათ დანახვაზე ქუდს იხდის თავისთვის) ვერ გავეპარე ამ შეჩვენებულებს? (ხმა მაღლა) ბატონებს სალამი!

გიორ. საით შენი მგზავრობა?

საბა. შინისკენ შენი, ჭირიმე.

გიორ. სტყუი!

სუს. აბა სად უნდა წავიდეს?

გიორ. სიბა ვერ მომატყუებ. აი, გადაჰკარ ღვინო და მითხარი საით მიდიოდი?

შამ. რას ჩააცივდით ამ მოხუცს? გეუბნებათ, შინ მივდივარო.

საბა (დვინოს სვამს) ღმერთი გწყალობდეთ, სამას სამოცდა ხუთი წმინდა გიორგი, მიქელ-გაბრიელ მთავარ-ანგელოსი, მისი დიდების ჭირიმე.

ლიზა. საბა გრწამს ღმერთი?

საბა. რა ბრძანებაა! ღმერთი და ხატი ვის არა სწამს, მათი დიდების ჭირიმე!

ლიზა. მერე ხატი რომ მოატყუე?

შამ. როგორ, თუ ხატი?

სუს რაო?

საბა. (თავისთვის) აი, მეხიკი დაგეცა მაგ ენაზე! ჰმ!

გიორ. იცით როგორ მოატყუა საბამ ხატი? მეზობელს შეედავე შეედავა. საგლეხო სასამართლომ ფიცი მიუსაჯა. რა ქნას საბამ, კარგად იცის ადგილი მას არ ეკუ[illegible]ვნის. და, აი, ბატონებო; საბამ შემდეგ ხერხს მიმართა. შეიკერა სრული ქალამნები, ჩაჰყარა შიგ თავისი საკუთარი ეზოს მიწა, მივიდა სადაო ადგილზე, სადაც ხატი მიასვენეს და დაიფიცა ჩემს მიწაზე ვსდგევარო.

ყველანი (იცინიან) ხა! ხა! ხა!

საბა. იმ ხატის ძალი და მადლი გაუწყრეს ვინც ეგ მ[illegible] მიგონა.

გიორ. წაწყდები საბა! ამინ გეტყვი შენ, რომ ჩემთან იქნები ჯოჯოხეთში.

შამ. ხა! ხა! ხა! დიდებულია! დიდებული.

გ.ორ ეხლა საბა გიდაცის ტყეში მიდის ხის მოსაჭრელად, მაგრამ მიფრთხილდი საბა!

აქეთ ჩემი ადგილებია. ჰა, გადაჰკარ და წადი, ჩემ ტყეში კი ფეხი არ შესდგა.

საბა. თქვენს დაუკითხავად ტყეში ფეხს როგორ შევსდამ, მაგრამ შენი ჭირიმე, შენი სულის საცხონებლად თქვენს ტყეში ერთი გამოფუტურებული ცაცხვის ხეა. ძალიან მიუვალი ადგილია. ვერავინ ვერ მოიხმარს, მე კი ვუხერხებ რასმეს. შენი მუხლის ჭირიმე თუ შენს სადღეგრძელოდ მიწყალობებ! (მუხლს მოიდრეკს)

გიორ. რადგან თვალი მოატანე, სულ ერთია, შენი ნაჯახის პირი არ აცდება; კარგი, გქონდეს ერთი ხე, მაგრამ მიფრთხილდი, მხოლოდ ერთი, სხვას ხელი არ ახლო.

საბა. ამაშენე კაცი და ეს არის, შენი ჭირიმე!

გიორ. ეხლა მითხარი, იმ ხის მოსაჭრელად მიდიოდი, არა?

საბა. რად იკადრებ, ბატონო, თქვენ დაუკითხავად როგორ გავბედავდი.

გიორ. კარგი! კარგი! გიცნობ საბა!

საბა მშვიდობით ბრძანდებოდეთ (გადის და თან თავისთვის ამბობს) ეს ძალიან იღბალი მომივიდა, ნეტა შენი თავი არ იყოს გამოფუტურებული, თორემ უწინამც დღე დაელევა საბას, ალესილ იარაღს პირი გამოფუტურებულ ხეზე არ გაუფუჭოს.

შამ. ბატონებო! ამ მოხუცმა ოცნების ფრთები მოამსხვრია ჩვენს თავდავიწყესას. გავმხიარულდეთ! დავივიწყოთ ყოველივე ამ ქვეყნიური. მივეცეთ შვებას. ეჰ, ნეტავ დიოგენიც იყვეს ეხლა ჩვენთან!?

ლიზა. ის ჩაკეტილია თავის ოთახში, წარმოიდგინეთ თავის საყვარელ სალამურზეც აღარ ამღერებს.

ალოლ. რა ნაზი ჰაეროვანი ხმები გამოკრთის მის სალამურში.

გიორ. ეჰ, ალოლ? ალოლ? ნუ აყვები გულის თქმას.

შამ. სადღაა ჩვენი შეუპოვარი დიო. რა იქნა მისი სულის სიმტკიცე და სიძლიერე? მისი ამაყი პიროვნება დაამდაბლა ულმობელმა ცხოვრებამ.

გიორ. და ცოტა აქაც (შუბლზე ხელის იდებით) აუფორიაქა.

ლიზ. არ არის კარგი ადამიანის დამცირება.

სუს. და მით უმეტეს, როდესაც ალოლს უყვარს დიოგენი.

გიორ. ეჰ, თქვენ და თქვენი სიყვარული. ისე წინადადებას ვერ იტყვიან, რომ ეს ყოვლად ულაზათო სიტყვა შიგ არ გაურიონ! ქეიფი, ლხინი! აი, ჩემი სიყვარული. ბატონებო, მე ვსვამ დიოს სადღეგრძელოს და გთხოვთ სულთათანა უგალობოთ იმ უაზრო კვლევა-ძიებას, რომელმაც იგი ჩამოაშორა სიცოცხლის ნეტარებას.

ყველანი. (ალოლს გარდა) თანახმა ვართ! (იმღერიან) „სულთათანა აღსრულებულსა კვლევა-ძიებასაა... განუსვენე...“ (ამ დროს შორით მოისმის სალამურის ხმა).

ალოლ ის არის ის! გესმით რა უსაზღვრო სევდა გამოკრთის ამ სალამურის ხმაში? როგორ მიწყდება, მიდუნდება, როგორ დაიწივლებს და აკვნესდება! (სახეზე აღელვება ეტყობა, ბაუზა).

დიოგ. ხმა. ალოლ! ალოლ!

სუს. ჰაუ! აქა ვართ, აქა! (ისევ სალამურის ხმა).

ლიზა. რა მოხარული ვარ მთელი თვე ოთახს არ გამოსცილებია, რამოდენი ვეხვეწე, ვემუდარე დღეს ჩვენთან წამოსულიყო.

შამ. წავიდეთ მივეგებოთ! მხოლოდ შენი მხიარულება თუ განკურნავს მის სულს (ხელს ჩაკიდებს ლიზას და გარბიან).

დიოგ. ხმა ალოლ! ალოლ!

გიორ. შენ გეძახის, პასუხს რად არ აძლევ!

ალოლ. ჰაუ! (სიხარულით ხმა ყელში უწყდება)

გიორ. (ალოლს დაყინებით ჩასცქერის) თვალებში) გიყვარს?

III

იგინივე და **დიოგენი.**

დიოგენი რა საუცხოვო ღამეა, ზვიადობს გრძნობა, მაგრამ ვინ მეტყვის, თუ რას ჩასჩურჩულებს ეხლა აი, ამ წუთს ნიავი ფოთლებს? ვინ მეტყვის, თუ რად სტირის იადონი ამ საუცხოვო ღამეში?

გიორ. რად განმარტოვდი, რად ჩამოგვშორდი? მოგვწყინდა უშენოდ.

დიოგ. იმიტომ, რომ თქვენ შორის ვერ

ვპოვე სიმშვიდე სულის, მომწყინდა ტკბილი, უდარდელი ცხოვრება, მომწყინდა თქვენ შორის ყოფნა, მაგრამ ალოლ! შენი სახე-კი ხშირად შემოიჭრება ჩემს მარტოობაში და მაშინ ვფიქრობ, რომ კიდევ მაქვს რაღაცა საერთო თქვენთან. ოჰ, ალოლ! ალოლ! (ხიდებს ღვინით სავსე ბოთლს და სვამს).

გიორ. რა რიგ ეწამო კაცთა ამაოებას ვერ გასცილდები, სჯობია ისევ ტკბილ სიყმაწვილეს დაუბრუნდე.

დიოგ. დიახ; მე ვგრძნობ, რომ ამაოება ვარ, მაგრამ მსურს შევქმნა ისეთი ამაოება, რო მან მეცნიერების ყურადღება დაიმსახუროს. (სვამს ღვინოს)

ალოლ. რას სჩადით! დაითვრებით.

შამ. (დიზასთან ხეირნობს სცენის განაპირად) ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ ამ ღამეს.

დიოგ. ჰეი! იცით, რომ შუა ღამისას გაშლილი ყვავილი მზის ამოსვლისთანავე სიცოცხლეს ემშვიდობება?

სუს. რა საუცხოვოდ ამღერებდით სალამურს?

დიოგ. მე და ჩემი სალამური ვსტიროდით ჩვენს მარტოობას, ჩვენს დამწუხრებულ სიყმაწვილეს. ალოლ! მიმღერე რამე (დაცლილ ბოთლს მდინარეში გადაისვრის და სავსე ბოთლს ამოიღებს კალათიდან) მინდა დავითვრე, მსურს მივეცე თავდავიწყებას, მაგრამ რით? ღვინო აღარ მოქმედობს ჩემზე.

გიორ. დავლიოთ! დავლიოთ! (ისიც სვამს).

დიოგ. ვსვამ მაგრამ ამაოდ! ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია ხელოვნურად მიაღწიოს თავდავიწყებას. მითხარ როგორ გაუძელ ცხოვრების სიმწვავეს ამოდენ ხანს, რომ ჟამთა მსვლელობამ მოვერცხლილ თმით შეგიმკო თავის ქალა? ალოლ! მიმღერე რამე!

ლიზა (გადახვევს ხელს ალოლს და სუსანას) ვიმღეროთ (დაიწყებენ):

მომიახლოვდი, მომეყრდნე მკერდზე,
დაგწვავ, დაგფერფლავ ვნების კოცონზე,
გადაგიფარცხნი ხუჭუჭ დალალებს,
გადაგიკოცნი მიბნედილს თვალებს ..
რისთვის გაფითრდი, რად გაინაზე,
რისთვის აცურდა ცრემლი წამწამზე,
დაგწვავ, დაგფერფლავ ვნების კოცონზე,
მომიახლოვდი, მომეყრდნე მკერდზე!

დიოგ. რაღაც მიხუთავს სულს! (მკერდს იდებს) აქ იწვის რაღაც.

სუს. სიყვარულის მიზეზით ხომ არ არის?

დიოგ. სიყვარულისაც და სიძულვილისაც! (გაიძრობს შიჯკას და წყალში გადაისვრის)

ალოლ!. რას სჩადით!

შამ. (მდინარისკენ გარბის) ეს როგორ შეიძლება!

დიოგ. (გაიძრობს ხალათს და მასაც მდინარეში გადაისვრის) ველურები არას დროს არ იფარავდენ სხეულს ტანთსაცმელით ალოლ! რას გადასცქერი მდინარის სიღრმეს, ჩემს უშინაარსო სიცოცხლის წუთებსაც ისე იტაცებს დროთა ულმობელი ტრიალი. მიმღერე, კიდევ მიმღერე რამე, გამიყარე გულში ვნების ბრჭყალები.

შამ ველარ გამოვიტაცე მდინარიდან: არ არის კარგი, როდესაც ადამიანი ძვირფას სიცოცხლეს დაუდევრად ეთამაშება.

დიოგ სიცოცხლე! რომ შემეძლოს საამოვნებით ამოვგლეჯდი ამ სიტყვას ჩემს მეხსიერებიდან და ისევე გადავისროდი მდინარის სიღრმეში, როგორც აი, ამ ცარიელ ბოთლს. (ისვრის)

შამ. შენგან მესმის ეს სიტყვები, რომელიც სიცოცხლის ერთი წუთის უმნიშვნელოდ დაკარგვასაც ვერ ითმენდი?

დიოგ. რაც გინდ ეცადო, რაც გინდ ეწვალო, სიცოცხლეს ისე მოგტაცებს სიკვდილი, რომ ვერ გაიგებ სად იწყება ის, და სად არის დასასრული; ახლად შობილმა ბავშმა არ იცის, რად სტირის, როდესაც მოსწყდება დედის გვამს, მაგრამ არც მოხუცმა იცის, თუ რად ემშვიდობება კვნესა-გმინვით თვის სიცოცხლის უკანასკნელ წუთს. და მითხარით, რა ღირებულება უნდა ჰქონდეს სიცოცხლეს?

ლიზა დიოგენ! გაცივდები! წავიდეთ შინ!

დიოგ რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ აქ მარტოდმარტოს დაგვტოვებდეთ. დაუგდებ ყურს ზვირთების იდუმალ ნანას, იქნებ წუთით მაინც მივეცე თავდავიწყებას.

სუს. მაშ კარგი ჩვენ წავალთ. აქ მოგვ-

წყინდა კიდეც, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ კვლავ დაამღერებთ სალამურზე და დაგვიტკბობთ სმენას წავიდეთ!

ლიზა. მარტო დავტოვოთ დიო?

შამ. ალოლ დარჩეს მასთან. ერთად წამოვლენ შინ.

გიორ რა მენაღვლება, მაგრამ... (მიდიან ხელი ხელ ჩაკიდებულნი. გიორგი კალათს ზურგზე იკიდებს და მიდის. დიოგენი პირქვე დამხობილია პაუზა.)

ალოლ წავიდეთ!

დიოგ. (წამოიჭრება ფეხზე და ხელს ხვევს, ალოლი სცდილობს თავის განთავისუფლებას. დუმილი) გესმის აჩქარებითი სუნთქვა? ეს ველური გამოძახილია ვნების ბრჭყალებში მომწყვდეულ სულის. (კოცნის)

ალოლ ეს ნუ იქნება (სცდილობს თავის განთავისუფლებას)

დიოგ. სიცოცხლეო! რატომ ნუ იქნება. მოვიკლათ ვნების წყურვილი. ალოლ! არც ისე სუსტია ჩვენი სიყვარული რომ კოცნის სიმხურვალე ვერ აიტანოს.

შორით ხმები. ალოლ! დიო! გამოიარეთ.

ალოლ. (შეკრთება) წავიდეთ (ისმის სიმღერა: „წარგვედ წყლის პირად“ დუმილი. ისინი ისე შესცქერიან ერთმანეთს, თითქოს თვალებით უამბობენ რაღაც იდუმალ ამბავს. მათ თვალებში თან და თან ღვივდება ვნების ნაპერწკალი, ირთიან, ცახცახებენ.. დიოგენი გაშმაგებით მიიკრავს გულზე ალოლს. აიტაცებს ხელში და, ვით უმწეო მსხვერპლს, ტყის სიღრმეში გაიტაცებს. შორით მოისმის ხმები: ალოლ! ალოლ)

ფ ა რ დ ა.

(გაგრძელება იქნება)

ქართული ოპერის მუშაკნი

ა. ვ. კურბატოვი

საოპერო ტენორი, სცენაზე მონაწილეობს 1910 წლიდან, თუმცა ტომით რუსია, ქართული ენა იმდენად შეისწავლა, რომ ქართულად მღერის. 3-4 წ. წინად განსვენებულმა კ. ს. ცხომელიძემ მიიწვია „ქართული ოპერის ამხანაგობაა“-ში სადაც ბეჯითად მუშაობდა და ახლაც თავგამოდებით მეცადინეობს ქართულ ოპერის ასაღორძინებლად. ქართულად მომზადებული აქვს ალფრედი („ტრავიატა“), ჰერცოგი („რიგოლეტო“) ჰერალდი („ლაკმე“), ხოლო რუსულად თორმეტამდე პარტია. საყველდღეოდ გაწვეულია დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დაბა-ქალაქის სადამოებში მონაწილეობის მისაღებად. საკონცერტო განყოფილებაში ქართულად ნათარგმნ ოპერებიდან რავდენსამე არიას შესრულებს.

ნიკო გოცირიძე
(შარჟი მ. ჭიაურელის)

სევდის ნალეთებში

წამების ასული

მაშინ, როდესაც ყოველი მოსვენებას ეძ ლევა და მთელი ქვეყანა ერთ დიდ სასაფ ლაოს წარმოადგენს...

მაშინ, როდესაც უკუნით წყვდიადს ფრთე ბი გაუშლია და ღამის ყრუ სიბნელე აქა-იქ გ ისმის ჰოტის გულის მომწყველი ძახილი, საიდგა ღაც გაჩნდა ის ჩემს წინ...

თოვლივით თეთრი, ლერწამივით მოქ ნილი ტანი საოცნებოთ ირხეოდა...

გრძნეული სახე ნათელს ჰფენდა იქაუ რობას. დიდრონი, ჯადოსნური შავი თვალები ცეცხლის სხივებს ისროდნენ..

თავი მას ეკლებით ჰქონდა შებურვილი და დრო გამოშვებით მოისმოდა მისი ყრუ ამო ნაკვნესი...

გაშლილ, ბამბასავით თეთრ შუბლზე ნათ ლად გამოჰკრთოდა სისხლის წითელი წვეთი...

— ჰოი, წამების ასულო, რომელსაც დაგ ეძებ მარადის!. თავი ჩემი შეიწირე მსხვერპლად. მითხარი და მეც მზათა ვარ! აღლვებით შევძახე მა და ხელები თავისკენ წავუღე, რომ ეკლე ბი ამეცალა მისთვის...

მაგრამ ის მსწრაფლ გაჰქრა!.. გაჰქრა...

შავმა წყვდიადმა სადღაც გააქანა...

სადღაც დამალა ის...

უკანსკნელად მხოლოდ ეს გავიგონე:

— „მე მოვალ მზესთან ერთად... მზე სთან ერთად მელოდე მე.

და ყოველთვის, როცა ზღაპრული აღმო სავლეთი ოქროს ფრად იღებება და მისი მშვე ნიერი სურათი თავს ამოჰყოფს, მე მუდამ აქ ვიბადები...

ვეკითხები მზეს...

ვუცდი წამების ასულს..

მაგრამ მზე მუდამ მოდის და ის კი არა...

მე ყოველთვის დავეძებ.., ყოველთვის ვეძახი მას...

ნეტავი როდის ვიხილავ...

როდის მოვა ის !?.

ლ. ძიძიგური

შავი ზღვის ნაპირას

(„დარია ქიანარჰდა“-ს ჰანგზე დაწერილი; სიმღერაში ყოველ ტაეპის პირველ სამს აწკარს თითო მარცვალი ემატება. გამთქმულია 20 წ. წინად).

შავი ზღვის პირას ჩვენი ქვეყანა, —
მის მსგავსი კიდევ იქნება განა!
იქ უოქვამს ჩემთვის დედა ჩემს ნანა, —
ბაღში სუმბული, გალობს ბულბული,
ვარდის ერთგული, ტურფა არსება!..

შავი ზღვის პირას ჩვენი სახლები,
ძველთგან ძველები — არა ახლები,
ახლა იქ დგანან ჩვენი მძახლები, —
ჩვენია ბრალი, დავკარგეთ კვალი,
აღარც გვაქვს ძალი, წაგვართვეს ნებ !.

მამა ჩვენი თვის ძმას გაეყარა,
არც ერთს კეთილი არ დაეყარა;
მით მტერმა ჯავრი ამოიყარა, —
ფუ, ჩვენს კაცობას, მხდალ-დიაცობას,
გმირ-მამაცობას არ ეკადრება!..

მამა მოგვიკვდა, დავრჩით ობლადა,
დედა სხვას გაჰყვა პურის მცხობლადა,
ჩვენი საქმე არ მიდის მწყობლადა
ბედი გაგვექცა, სახლი დაგვექცა,
ცხენი წაგვექცა — ვეღარა დგება!..

სახლი გავუშვი და მე მოვედი,
იმ დღიდან დღემდე ვიწყევლე ბედი,
შვილო, შენა ხარ ჩემი იმედი,
ბაღში ვარდები — გამეზარდები,
გულში დარდები აღარ მექნება!..

ახ, როს იქნება დაგვიდგეს დარი,
გვეღირსოს ჩვენი სახლი და კარი!
არ მისცა ჰაზირს არავინ მხარი, —
ფიქრი აწვალებს, იხმარებს ძალებს,
თავს ანაცვალებს მისთვის მოკვდება!..

ჰაზირა

ნიკო გოცირიძე საქოს როლში (მსხვერპლი)

ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ორი წლის თავის შესრულების გამო. ცხრა მთას იქით გადაკარგულნი, ოთხ-კედელ შორის მყოფნი ქართველი კატორღელები მუხლს ვიდრეკთ დიდებული მგოსნის აკაკის გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე.

ჩვენ ცოცხლად დამარხულებსაც თვალწინ გვიდგას მისი მადლიანი და საყვარელი სახე· დიდება იმ ერს, რომელმაც წარმოშვა ჩაგრულთა მომღერალი ჩვენი აკაკი.

ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის ქარ. კატორღელების მონდობილობით ვალ. ოხრობეთელი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ აღმადგენელი კომიტეტისა და ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობის შეერთებული სხდომა გაიმართება დღეს.

ᲕᲐᲚ. ᲒᲣᲜᲘᲐᲡ 35 წ. მოღვაწეობის იუბილეს მომწყობმა კომისიამ უკვე შეიმუშავა პროგრამა. დღესასწაული გაიმართება დილით და საღამოთი, დანიშნა დღე—მარტის 19 ანუ აპრილის 9 (არჩევანი თვით ვ. გუნიაზეა—რომელ დღეს ისურვებს).

ᲜᲘᲙᲝ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲘᲡ 20 წ. სახალხო სცენაზე მოღვაწეობის სამახსოვ· წარმოდგენა გაიმართება დღეს, შაბათს თებერვლის 4, სახალხო სახლში.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲠᲔᲡᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ დაიხურება მომავალ კვირას, თებერვლის 12.

ᲡᲝᲛᲔᲮ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲖ-ᲘᲡ სურათების გამოფენა გაიმართება თებერვლიდან გოლოვინის პრ. მილოვის მაღაზიაში. გამოფენა საყურადღებო იქნება. გამოფენაში მონაწილეობენ ჩვენი მხატვრები მ. თოიძე და ლ. გუდიაშვილი.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲡ დაუწერია ახალი კომედია „საზოგადო საქმე", რომლის პირველი წარმოდგენა განზრახულია ბაქოში ავტორის საბენეფისოდ თებერვლის 12.

ხაშურის სცენის მოყვ წრის მაგიერ ნ გოცირიძეს დღ.ს მოულოცავს ნ. სიხარულიძე

Ს. ᲮᲐᲨᲛᲖᲔ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘᲡ დაარსების შესახებ გასულ კვირას მოლაპარაკება იყო. საჭირო კაცები აირჩიეს და მიანდეს საქმის დაწყება. ამავე დღეს ყრილობამ ერთხმად სთხოვა მღ. ი. ხაბაზიშვილს განაგრძოს ფულის აკრება კოოპერატივის წევრობის მსურველთ.

ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚ ქართველ მაჰმადიანთათვის დავ. სპ. ზუკაკიშვილისაგან მივიღეთ 4 მ. სოფ. ხაშმზე წვრილ წვრილად შეკრებილი.

სახალხო სახლი შაბათს, 4 თებერვალს 1017 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე ნიკო გოცირიძეს 20 წლ. სახალხო სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს სადღესასწაულო საღამოს. წარმოდგენილი იქნება

1 **ტარტიუფი** III და IV გ. მოლიერისა

2 **მსხვერპლი** I მოქ. ი. გედევანიშვილისა

3) **ხანუმა** II მოქ. ა. ცაგარლისა

რეჟ. კ. შათირიშვილი. დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 12-2 და 6-8 საათამდე.

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათ ის V წ.

სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

აკაკის „ნააზრევები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ვ. ლომთათიძის „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშე, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით. მან. 50 კაპ. თითო ნომერი ცალკე 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნის“ **სტამბის კანტორაში** (მადათოვის ქუჩა, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ისა და ქართველ ხელოვანთა საზ-ის თაოსნობით ძველ ქართულ საეკლესიო ფრესკების

გამოფენა

გამოფენა გაიღო იანვრის 8, ღიაა დილის 10 საათიდა შუადღის 4 ს-დე შესვლის ფასი—50კ. მოწაფ. —25. კ.

ახალი კლუბი

კვირას თებ 5 დილით

გამყრელიძეს მონაწილეობით

სამშობლო

დასაწყ დღ. 12 ს. ფასი: 1-70 კ — 30 კ-დე. რეჟისორი ✱✱✱ ადმინისტრ. დრამ. საზ—ბისა

ხაროშეხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტზე, № 163)

ერთი კვირის პროგრამა თებ.-5-12

ორშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკესტ.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი—ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი—. საოჯახო საღამო

შაბათი—რუსული წარმოდგენა

კვირა—სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები—25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოდგენა—კონცერტების და—სინემატოგრაფ—საღ. 8 ნახ. ს.

ახალი კლუბი

1 კვირის პროგ. თებ. 5-12

კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი—საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ.—საოჯახო საღამო

კვირა—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^{1}/_{2}$ სა. **შესას.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

რედ-გამ. ანნა იმედაშვილისა Дозволено Военной Цэнзурой სტამბა „სორაპანი“